სს „საქართველოს უძრავი ქონება“ (ს/კ 204517399) გეგმავს ISIN GE2700604178-ის მქონე ობლიგაციების გამოსყიდვას 35,000,000 აშშ დოლარის ოდენობით

სს „საქართველოს უძრავი ქონება“ (ს/კ 204517399) (შემდგომში - „ემიტენტი“) გეგმავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის 06 ოქტომბერს დამტკიცებული პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული ISIN GE2700604178-ის მქონე ობლიგაციების (შემდგომში - „არსებული ობლიგაციები“) გამოსყიდვას 35,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.

„არსებული ობლიგაციების“ განაღდების (დაფარვის) ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 07 ოქტომბერი, თუმცა ვინაიდან „ემიტენტი“ გეგმავს ახალი ობლიგაციების გამოშვებას, რომლის მიზანს წარმოადგენს „არსებული ობლიგაციების“ რეფინანსირება, „ემიტენტი“ სთავაზობს „არსებული ობლიგაციების“ მფლობელებს, სურვილის შემთხვევაში, მათ „ემიტენტისთვის“ მიყიდვას. გამოსყიდვის საორიენტაციო თარიღს წარმოადგენს **2024 წლის 7 აგვისტო.**

გამოსყიდვის შეთავაზებაზე თანხმობის შემთხვევაში, „არსებული ობლიგაციების“ „ემიტენტისათვის“ მიყიდვა ობლიგაციონერებს შეეძლებათ (1) შესაბამისი ოდენობით ფულადი თანხის მიღების გზით, ან (2) „ემიტენტის“ ახალ ობლიგაციებში გადაცვლის გზით, ან (3) ფულადი თანხის მიღებისა და ახალ ობლიგაციებში გადაცვლის გზების კომბინაციით, რომელსაც და რა მოცულობითაც აირჩევს „არსებული ობლიგაციების“ მფლობელი და დააფიქსირებს წინამდებარე განცხადებას თანდართულ ფორმაში (შემდგომში - „ინტერესის ფორმა“).

გამოსყიდვის შეთავაზებაზე თანხმობის შემთხვევაში, „არსებული ობლიგაციების“ მფლობელმა „ინტერესის ფორმაში“ უნდა მიუთითოს, რა რაოდენობის „არსებული ობლიგაციის“ მიყიდვა სურს „ემიტენტისათვის“ და რომელი გზ(ებ)ით და, ასევე, ორივე გზის გამოყენების შემთხვევაში, რამდენი „არსებული ობლიგაციის“ ახალ ობლიგაციაში გადაცვლა და რამდენი „არსებული ობლიგაციის“ სანაცვლოდ ფულადი თანხის მიღებით ანგარიშსწორება სურს.

„არსებული ობლიგაციების“ გამოსყიდვის (ან/და გადაცვლის) ფასს წარმოადგენს გამოსყიდვის თარიღისათვის „არსებულ ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტისა და მისი ნომინალური ღირებულების **100.5%**-ის (ასი მთელი ხუთი მეათედი პროცენტი) ჯამი.

„არსებული ობლიგაციების“ ახალ ობლიგაციებში გადაცვლა მოხდება შემდეგი წესის შესაბამისად: „არსებული ობლიგაციების“ მფლობელი მიიღებს ზუსტად იმ რაოდენობის ახალ ობლიგაციას, რა რაოდენობის „არსებული ობლიგაციის“ გადაცვლის გზით „ემიტენტისთვის“ მიყიდვის შესახებაც დააფიქსირებს სურვილს „ინტერესის ფორმაში“, ხოლო დარჩენილი სხვაობა (გამოსყიდვის თარიღისათვის „არსებულ ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტისა და ნომინალური ღირებულების 0.5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედი პროცენტი) ჯამი თითოეულ „არსებულ ობლიგაციაზე“) ანაზღაურებული იქნება ფულადი თანხით.

„ემიტენტის“ მიერ ახალი ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების პროცესში პრიორიტეტი მიენიჭება, უპირველეს ყოვლისა, შეთავაზებული კუპონის განაკვეთებიდან უფრო დაბალ განაკვეთზე დაფიქსირებულ განცხადებებს/ინტერესის ფორმებს, ხოლო ერთსა და იმავე განაკვეთზე დაფიქსირებულ განცხადებებს შორის იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც არიან „არსებული ობლიგაციების“ მფლობელები, თუმცა მხოლოდ „არსებული ობლიგაციების“ ახალ ობლიგაციებში გადაცვლის ნაწილში. იმ შემთხვევაში, თუკი დაფიქსირებული ინტერესი აღემატება ახალი ობლიგაციების ჯამურ მოცულობას, ინვესტორთა მოთხოვნა ახალ ობლიგაციებში გადაცვლასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული იქნება პროპორციულად, ზემოთხსენებული წესის გათვალისწინებით, ხოლო „არსებული ობლიგაციების“ მფლობელებს, საჭიროების შემთხვევაში,

პროპორციული დაკმაყოფილების შემდგომ დარჩენილი ნაწილი აუნაზღაურდებათ თანხის გადახდის გზით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუკი „არსებული ობლიგაციების“ მფლობელების მოთხოვნა „არსებული ობლიგაციების“ ახალ ობლიგაციაში გადაცვლასთან დაკავშირებით არ იქნება დაკმაყოფილებული ან/და დაკმაყოფილებული იქნება ნაწილობრივ, „ემიტენტი“ ყველა ასეთ „არსებული ობლიგაციების“ მფლობელს გამოისყიდის თანხის გადახდის გზით.

„არსებული ობლიგაციების“ გამოსყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა ანგარიშსწორება განხორციელდება „ემიტენტის“ მიერ გამოშვებული ახალი ობლიგაციებისთვის განსაზღვრული ანგარიშსწორების დღესვე.

„არსებული ობლიგაციების“ მფლობელმა ინვესტორებმა შეთავაზებაზე ინტერესის გამოსახატად უნდა შეავსონ წინამდებარე განცხადებას თანდართული „ინტერესის ფორმა“ და მიუთითონ, მათ შორის, ახალი ობლიგაციებით სურთ ანგარიშსწორების განხორციელება თუ თანხის მიღების გზით. შეთავაზებაში მონაწილეობის მიზნით, სურვილის შემთხვევაში, „არსებული წლის ობლიგაციების“ მფლობელებმა სრულად შევსებული „ინტერესის ფორმა“ უნდა გამოაგზავნონ შემდეგი ელ. ფოსტის მისამართზე: sales@gt.ge ან Sales&Trading@tbccapital.ge , არაუგვიანეს **2024 წლის 2 აგვისტოსა.**